<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20.11.2023, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.05.001.021089) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:
„7. ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო შენატანები ხორციელდება, აგრეთვე დამსაქმებლებსა და დასაქმებულებთან/მონაწილეებთან ანგარიშსწორება (მათ შორის, პენსიის/საპენსიო აქტივების საპენსიო ფონდის მიერ გადაცემა/გადახდა/დაბრუნება) ხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
8. საპენსიო ფონდი ვალდებულია მის მიერ განსაზღვრული წესით განახორციელოს იდენტიფიცირება და იდენტიფიცირების შედეგად დააბრუნოს ან/და შესაბამის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადაიტანოს საპენსიო შენატანების აკუმულირებისთვის საპენსიო ფონდის მიერ გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე გადარიცხული არაიდენტიფიცირებული თანხები ასეთი თანხების საპენსიო სააგენტოს ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე გადარიცხვის თარიღიდან 5 წლის განმავლობაში. არაიდენტიფიცირებული თანხები იდენტიფიცირებულად და შესაბამის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანილად ჩაითვლება მაშინ, როდესაც იდენტიფიცირებულ თანხებზე დამსაქმებელი/თვითდასაქმებული საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრული წესით დახურავს სათანადო დეკლარაციას. თუ ასეთი თანხის იდენტიფიცირება ან/და იდენტიფიცირების შედეგად დაბრუნება ან/და შესაბამის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა შეუძლებელია, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არაიდენტიფიცირებული თანხა ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის ნაწილი ხდება, რის შემდეგაც თანხის გადარიცხვის განმახორციელებელ პირს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მისი დაბრუნება ან/და საპენსიო ფონდისათვის რაიმე მოთხოვნის, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, წარდგენა.".

2. პირველი მუხლის 30-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*